**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891



გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ.


კნეინა **ხორეშანის თადეოზის ასული** და თავადი **ლევან მიხეილის ძე ციციშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დედისას და მეორე სიდედრისას კნეინა **მარიამ დავითის ასულის გურამიშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზე სოფელს ქვემო ავჭალას, თავისს კარის ეკკლესიაში, 2 აგვისტოს, დილის 10 საათზედ. (2—2)

პატივისმცემელნი განსვენებულის **თავ. მამია გურიელისა** ამით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 3 აგვისტოს, შაბათს, პირველს საათზე, ქაშუეთის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. (3—2)

სასოფლო მეურნეობის სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებლისთვის **ორი მასწავლებელია საჭირო**, კურს დამთავრებული სამასწავლებლო ინსტიტუტში, ანუ უმაღლესს სასწავლებელში. მასწავლებელს წელიწადში სამოცი თუმანი ექმნება, ორი ოთახი, თავისის დერეფნით, სამზარეულო და სარდაფი. ერთმა იმათგანმა სკოლის ხოროს ლოტბარობა უნდა გაუწიოს. ვისაც ჰსურს, ამ სკოლას ემსახუროს, უნდა მზრუნველს სკოლისას პირად მიართოს თხოვნა, თავისის ატესტატით.

მზრუნველი სკოლისა სცხოვრობს ქ. ტფილისში, ელისაბედის ქუჩაზე, № 86. (5—3)

მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ დანიშნული ეგზამენები ყველა საგანში ანასტასიას დედათა პროგიმნაზიის შეგირდებისათვის გორში დაიწყება 31 აგვისტოს, დილის 9 საათზე. (3—2)

## ახალი ამბავი

*** ოზურგეთი: დიდად შეგვაწუხა იმ მოულოდნელმა ამბავმა, რომ მამია გურიელი გარდაიცვალა. 28 ამ თთვისას განსვენებულს გარდავუხადეთ აქაურს წმინდა მარინეს ეკკლესიაში პანაშვიდი, რომელზედაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

*** ბორჯომში გადაუხდიათ პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ჩვენის პოეტის თავ. მამია გურიელის მოსახსენებლად. საყვარელის პოეტის სიკვდილის ამბავმა დიდად შეაწუხა მცირე საზოგადოება ქართველებისა ბორჯომში და 28 ივლისს პანაშვიდზე დამსწრეთ ცხადად ეტყობოდათ ღრმა მწუხარება პოეტის დაკარგვის გამოვო,—იწერება გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ის კორესპონდენტი.

*** სამშაბათს, 30 ივლისს, გამგეობის დარბაზში დანიშნული იყო ნიხრის დამწესებელ კომისიის კრება, მაგრამ წევრნი ამ კომისიისა, გარდა ერთისა, არ მივიდნენ და კრება ვერ გაიმართა.

საჭირო და სასარგებლო-კი იქნებოდა ამ კომისიის კრება, რადგან ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის მოხელეთ ყოველივე ცნობა შეუკრებიათ და გამოუკვლევიათ, თუ რა უჯდება ყასაბს გირვანქა ხორცი. აქედამ ადვილად შეიძლება იმის გამოანგარიშებაც, თუ რამდენად უნდა გაჰყიდოს იგივე ხორცი, რომ მოგება დარჩეს გამყიდველსა. ვინც ხორცის საქმე გამოიკვლია, იმას ამბობს, რომ ადვილად შეიძლება ნიხრის დაკლებაო. რა ქნას გამგეობამ და სავაჭრო პოლიციამ, თუ საბჭოს მიერ ამორჩეულ ოთხის კაცისაგან შემდგარი კომისია არ შეიკრიბება და საქმეს არ განსჯის. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ოთხი კაცი ყველანი ქალაქში არიან ამ ჟამად, და რად უნებებიათ, რომ სამშაბათის კრებაზედ არ მისულან.

*** კავკავის გზაზედ, ოთხშაბათს, 31 ივლისს, დიდი წვიმები ყოფილა, რის გამო ეს გზა ძლიერ წამხდარა. მდინარე თერგი ძალიან ადიდებულა, მოუგლეჯია გზის კედლები და სიმაგრენი და წყალი თვით გზაზედ ამოვარდნილა. ლარსის ახლოს გზა სრულიად წალეკილა რამდენისამე ვერსის მანძილზე, ხოლო ალაგ-ალაგ-კი შეიძლება ბილიკებზე ფეხით გავლა. ფოსტის მიმოსვლისათვის საჭიროა ორის დროებითის ხიდის აგება, რისათვისაც დასჭირდებათ ორი ათას თუმნამდე მაინც. ამას გარდა 200 საჟენამდე გზის ლიანდაგს დროებითი შემაგრება უნდა მდინარე თერგის მხარეს და ახალის გზისათვის ორმოც-და-ათ კუბ. საჟენი კლდე უნდა დაარღვიონ. ლარსსა და ყაზბეგს შუა ძველიცა და ახალი გზაც მთიდგან მორღვეულს ქვებს ქვეშ მოექცა და ამ ალაგას ფეხით გავლაც შეუძლებელია. საღამოზე, ბალთას ახლოს, კლდის ქვეშ გზა სულ მოირღვა. ამ ალაგას გასასვლელად ბოძები გაგზავნეს დასაწყობად.

ყაზბეგიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ მდინარე უხერს გულეთის ხიდი მოუგლეჯია და წაუღიაო. გულეთსა და ლარსს შუა გზა ძალიან წამხდარია და არა რა ცნობები არ მოდის იქიდამ. კობის ახლოს, ბიდარას მუხლში, სადაც ახალი გზა იყო გაკეთებული ზამთრისათვის, სულ მოგლეჯილია და ცხენითაც-კი შეუძლებელია ამ გზით მიმოსვლა.

## ფელეტონი

### ნაპერწკალი

კომედია ერთს მოქმედებად პაილერონისა

(ქართულის სცენისათვის გადმოკეთებული)

სცენა IX*)

ქეთევანი და შემდეგ ნაკვერჩხლაძე

ქეთევანი. უეჭველად მიგათხოვებ, უეჭველად! სულელი!... ცერცეტა!.. ასლი ერთმანეთის ფანდნი არიან. კარგად მოუხდებიან. ოჰო, შენც მობრძანდი!

ნაკვერჩხ. (შემოდის) რა ამბავია?

ქეთევანი. არა შვრება, არ მინდაო.

ნაკვერჩხ. აკი გითხარი, ნაპერწკალი არსადა სჩანს-მეთქი!

ქეთევანი. აბა, ეხლა შენი საშუალება სთქვი?

ნაკვერჩხ. სცდი-კი.

ქეთევანი. უეჭველად.

ნაკვერჩხ. მადლობა ღმერთს! ხომ უთხარი, რომ უყვარხარო.

ქეთევანი. ვუთხარი.

ნაკვერჩხ. და რომ შენი შერთვა უნდაო?

ქეთევანი. ეგეც ვუთხარი.

ნაკვერჩხ. ისიც ხომ დაინახა, რომ აქეთ მოვდიოდი?

ქეთევანი. ჰო, ჰო, მერე რაო?

ნაკვერჩხ. აბა, ხელი მომეცი (ხელით მიჰყავს).

ქეთევანი. სად მიხვალ? ბინდდება კიდეც.

ნაკვერჩხ. მით უკეთესი, სწორედ კარგი დროა.

ქეთევანი. შენი საშუალება?

ნაკვერჩხ. დაიწყო კიდეც...

ქეთევანი. როგორ თუ დაიწყო?

ნაკვერჩხ. სუუ... აბა, მიიხედე...

ქეთევანი. საით?

ნაკვერჩხ. მარჯვნივ... ხომ ჰხედავ, თეთრად რაღაცა სჩანს... იმისი კაბაა... ის არის... ნუ დაუწყებ დიდხანს ყურებას, ვითომ ვერა ჰხედავ... დარწმუნებული ვიყავ, რომ დაბრუნდებოდა და ყურს დაგვიგდებდა, ვნახო, რას ამბობენო...

ქეთევანი. მერე, რაო?

ნაკვერჩხ. მერე?.. აი, ამ სკამზედ ჩამოვსხდეთ და ის ვილაპარაკოთ, რაც იმას გვინდა გავაგონოთ.

ქეთევანი. რა ვილაპარაკოთ?

ნაკვერჩხ. ოჰ, რა დაგემართა!.. რა-და, შენ მისაყვედურე, იმას რად ირთავ-თქო, მე-კი თავის მართლებას დავიწყებ... ესეცა კმარა. სულ ხუთის წუთის საქმეა. მაშ აბა, დავიწყოთ.

ქეთევანი. იქნება სულელი ვარ, არ ვიცი, მაგრამ არა მესმის-რა-კი.

ნაკვერჩხ. ჩემი საშუალება იქვია, ეს ძველის-ძველი, დახავსებული, მაგრამ უებარი და უტყუარი საშუალება-კი! იჰვი გავუღვიძოთ და დარწმუნებული ვარ, ნაპერწკალიც თავს იჩენს. ოღონდ-კი დარწმუნდეს, მიხაკო ქეთევანს ჰყვარებიაო, და თითონაც შევუყვარდები. თუ არა გჯერა, ღლესვე დაგარწმუნებ. მაშ ჩამოვსხდეთ სკამზედ.

ქეთევანი. (ხელს გამოსტაცებს) თავი დამანებე ერთი, რაღაც სისულელესა სჩმახავ.

ნაკვერჩხ. დეე სისულელე იყოს, მაგრამ მაინც-კი ვცადოთ, ამით ხომ არაფერი დაგვაკლდება?.. მხოლოდ იმასა გთხოვ, აი მაგ სკამზედ ჩამოჯდე და რაც გითხრა, პასუხი მომცე! გამიწიე ეს მცირე სამსახური, რა არის!.. წავიდეთ... წავიდეთ ჩქარა!.. არა, აქ რაღაცა ამბავია... შენ არ გინდა, რომ მე ცოლი შევირთო.

ქეთევანი. (ისევ გაუშვის ხელს) მე არ მინდა?

ნაკვერჩხ. ჰო, შენა!

ქეთევანი. კარგი, წავიდეთ, დავსხდეთ (აწვავ).

ნაკვერჩხ. გახსოვდეს-კი, რომ...

ქეთევანი. წავიდეთ, წავიდეთ.

ნაკვერჩხ. ეხლა დაჯექი... (დასხდებიან) ახლო მოიწი, უფრო ახლო.

ქეთევანი. რა სისულელეა! ისე ვიქცევით, თითქოს სცენაზედ ვთამაშობდეთო. ჯერ კიდევ აქ არის?

ნაკვერჩხ. აქ არის, მაგრამ ჩვენ თუ ასე კრიჭა-შეკრულები ვისხედით...

ქეთევანი. სთქვი რამე, რაღას გაჩუმებულხარ...

ნაკვერჩხ. კარგად-კი ჰზიხარ!

ქეთევანი. ჰო, ჰო, დაიწყე.

ნაკვერჩხ. (ხმა-მაღლა) საყვარელო ქეთევან!

ქეთევანი. რაოო? (წამოსტება და შემდეგ ისევ დაჯდება. ნელის ხმით) აკი არ დამავიწყდა!

ნაკვერჩხ. საყვარელო ქეთევან! სამი წელიწადია გულით შენთან შეკავშირებული ვარ...

ქეთევანი. როგორ თუ სამი წელიწადია?

ნაკვერჩხ. რა უშავს, ვითომ სულ ერთი არ არის...

ქეთევანი. სულ ერთი რად იქნება, სამის წლის წინად დაქვრივებული ჯერ კიდევ არ ვიყავი.

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) კარგია, ორი წელიწადი იყოს... ჩვენ თუ ასე განვაგრძეთ, რაღა თქმა უნდა, არა გარიგდება-რა. ნუ გავიწყდება, რომ ვხუმრობთ... (ხმა მაღლა) რაკი ეხლა გავბედე და მინდა ამ კავშირს ბოლო მოვუღო, რასაკვირველია, სრული უფლება გაქვს მიზეზი მომკითხო...

ქეთევანი. (ნელის ხმით) რა სულელური საშუალებაა...

ნაკვერჩხ. (ნელის ხმითვე) სულელური-კი არა, უკეთესი აღარ შეიძლება! (ხმა მაღლა) და ამ მიზეზსაც გულ-წრფელად, პატიოსნად და მოკლედ გეტყვი. მიზეზი ის არის, რომ აღარ გიყვარვარ, ქეთევან, აღარ. (სიჩუმე. ნელის ხმით) სთქვი რამე.

ქეთევანი. (ნელის ხმით) რაო?

ნაკვერჩხ. (ნელის ხმითვე) „რაო!“ არა, ძვირფასო მიხაკო, ისე მიყვარხარ, რომ ასე არასოდეს მყვარებიხარ-თქო, სთქვი რაღა.

ქეთევანი. (ხმა მაღლა) არა, მიხაკო...

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) ძვირფასოო-კი დაგავიწყდა? განა შეიძლება აგრე უბრალოდ თქმა—მიხაკო. ასე მაინცა სთქვი: ჩემო საყვარელო მიხაკო-თქო!..

ქეთევანი. რა ვქნა... ღმერთმანი, დაჩვეული არა ვარ და მეხამუშება...

ნაკვერჩხ. დაჩვეული არ არის, ეხამუშება და რა ჰქნას! ეჰ, ქეთევან, ერთს წუთს როგორ ვერ შეიძლებ?.. გაიხედე აბა, აგერ გვიახლოვდება... ყურს გვიგდებს... თუ აგრე მოიქეცი, საქმეს სულ ერთიან წაახდენ!..

ქეთევანი. (ხმა მაღლა) მე-კი არ დაგივიწყე, ჩემო საყვარელო მიხაკო...

ნაკვერჩხ. (ხმა მაღლა) ნუ თუ მართლა? ნუ თუ აგეთი ბედნიერი ვარ? (ხელს დაუჭერს).

ქეთევანი. თუ ღმერთი გწამს, ხელს-კი ჩამოეხსენ...

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) ყურს რომ გვიგდებს?..

ქეთევანი. ყურს გვიგდებს, თვალს ხომ არ გვადევნებს.

ნაკვერჩხ. (ხმა მაღლა) ნუ თუ მართლა კიდევ გიყვარვარ!

ქეთევანი. რასაკვირველია, მი...

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) რა მშრალადა სთქვი! თუ ქრისტე გწამს, გრძნობით ილაპარაკე, გრძნობით...

ქეთევანი. (ხმა მაღლა) ოჰ, მიხაკო, რომ იცოდე... (ნელის ხმით) თავი მომაბეზრა სწორედ ამ ხუმრობამ...

ნაკვერჩხ. (ხმა მაღლა) ქეთევან, როცა შენ აგრე ნაზად მელაპარაკები, იმედი ისევე მიღვიძდება გულში (ხელს დაუჭერს).

ქეთევანი. (ნელის ხმით) ხომ გთხოვე, ხელს ნუ დამიჭერ-მეთქი.

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) თუ-კი საჭიროა...

ქეთევანი. (ნელის ხმით) სულაც არ არის საჭირო...

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) რა გაეწყობა, თუ-კი არა გსურს... შენ იცი...

ქეთევანი. (ნელის ხმით) არა, მსურს-კი, მაგრამ...

ნაკვერჩხ. (ნელისა და სასოწარკვე-

*) დასასრული. იხ. „ივერია“ №№ 156, 158 და 160.

*** ტფილისის ებრაელთა საზოგადოებამ, როგორც ვიცით, ახალი რაბბინი აირჩია, საულ აბრამის ძე ვეინშალი, ებრაულ ჟურნალის „კოსხოდ“-ის რედაქციის მდივანი. ამ დღეებში ბ-ნი ვეინშალი ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა და მოკლე ხანში თავის თანამდებობის აღსრულებასაც შეუდგება.

*** დიდს წვიმებს ქუთაისსა და ზუგდიდს შუა მდინარე ტებერდის სენტენის ხიდი მოუგლეჯია და წაუღია.

*** ბატონს ვალ. გუნიას უკვე შეუდგენია ვრცელი მიწერ-მოწერის სახელმძღვანელო, სახელდობრ „მიწერ-მოწერის კრებული“ და ამდღეებში ბეჭდვას შეუდგება მანსვეტოვის სტამბაში. წიგნი სექტემბრის თხუთმეტამდე გამოვა გასასყიდად.

*** ამდღეებში გამგზავრებულა იტალიაში გალობის უკეთესად შესასწავლად სომეხი მომღერალი ბ-ნი წოვაკი (წოვიანოვი).

*** თათრის მოედანს სიხარული დაეტყო, როცა შეიტყო, რომ უმთავრესი ჩვენი კრიჰა-აგენტი ბ-ნი ალიხანოვი სამსახურიდამ გადააყენა გამგეობამო. ალუფრთოვანდათ იმედები ალაფ-ჩარჩებს, აეშალათ საღერღელი სხვის ხარჯზედ ჯიბის გასქელებისა და მიეშურნენ ისევ ძველს საყვარელს ადგილს, თათრის მოედნისაკენ, საიდამაც იმათ ფეხი უნდა აეკრიბად ერთობილად ყველას, რომ მოულოდნელი ბედი არ მოევლინა მათთვის ქალაქის გამგეობას.

თათრის მოედნის ჩარჩ-ალაფების უსტაბაში „ისაკა“ იქამდის მიუყვანია სავაჭრო პოლიციის აგენტს, რომ იძულებული გამხდარა, ქალაქიდამ გასულიყო, და კიდევაც გამგზავრებულა განჯას. მეთაურის წასვლას, ცოტა არ იყოს, ცუდად უმოქმედნია იმისს ამალაზედ, მაგრამ მხნეობას-კი იჩენენ და იმედს მაინც არა ჰკარგავენ. ტყუილადაც არ დაურქმევია ხალხს მათთვის მეტი სახელები: „ვარანცოვი“, „დოხტური“, „ცუცქა“, და სხვ.

აი, ამ „ვარანცოვ“-„დოხტურებს“ 29 ივლისს მთელი ერთი ურემი, ასს ფუთზე მეტი, ქერით აევსოთ და ის იყო მოედნიდამ გაზიდვას აპირებდნენ, მაგრამ გადაყენებულის აგენტის ბ-ნ ალიხანოვის მოადგილემ ბ-ნმა თომაევმა და ბაზრის ზედამხედველმა აბესალომოვმა შეამჩნიეს ურემი, შეაჩერეს ＆ ქერი ისევ მოედანზედ დააყრევინეს; დამნაშავეთ-კი ოქმი შეუყენეს და წარადგინეს, სადაც ჯერ იყო.

*** ამას წინად ვსთქვით, რომ ქალაქის გამნათებელი იჯარადარი ბევრგან არ ანთებს ფარნებსაო. ეს გარემოება თვით აგენტებმაც შენიშნეს და ოქმი შეუდგინეს. ეხლა ავჭალის ქუჩის მცხოვრებნიც შემოგვჩივიან, ჩვენს ქუჩაზედ ხშირად აქა-იქ ან სრულიად არ ანთებენ ფარნებს, ან თუ ანთებენ ისე, რომ ორისამის საათის შემდეგ ქრებაო.

ამას გარდა ამ ქუჩაზედ დიდი მოძრაობაა ურმებისა, დიდი მტვერი დგება და ქუჩების მწმენდავები-კი არ სჩანან, მაშინ როდესაც მცხოვრები ქუჩის გადასახადს იხდიანო.

*** კოჯორი. წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებით საყურადღებო შეიქმნა აქაურებისთვის. სხვა დროს კოჯორში ისეთს ამბავს ვერას ნახავდით, როგორიც ეხლა ხდება ჩვენში. დილის შვიდს საათზე აქა-იქ კანტი-კუნტით თუ შეხვდებოდა კაცი ადრიანად ამდგარს და კოჯრის მიდამოებში და ქუჩა-ბილიკებში მოსეირნეს; ეხლა-კი სულ სხვაა: ეხლა დილის შვიდი საითი ისეთი დროა კოჯორში მცხოვრებთათვის, რომ ყველა მოვალედ ჰხდის თავისს თავს, ეს დრო არ გამოშეპაროსო. ამ დროს „შტაბი“-საკენ რომ გაიაროთ, თითქმის მთელს კოჯორს იქა ნახავთ. ის. ფითოევის ეზოში განცალკევებულად ერთი პატარა სახლია აგებული. აქედამ დილის $7^1/_2$—8 საათიდამ გამოისმის საუცხოვო ხმები როიალისა, რომელსაც კოჯორის საზოგადოება სულ-განაბული ყურს უგდებს. ანტონ გრიგოლის ძე რუბინშტეინია იმის მიზეზი, რომ ის. ფითოევის ეზოს ესე ბლომად ეტენება ხალხი ყოველს დილას. ბ-ნი რუბინშტეინი მუდამ დღე ვიდრე 10 საათამდე უკრავს როიალს, რომელიც „რუბინშტეინისებურს“ ხმასა სცემს მთელს არე-მარეს და ატკბობს მსმენელთა ყურს.

წარსულს კვირას აქაურს „როტონდა“-ში ოპერეტი გაჰმართეს. ტფილისიდამ სამარინ-ბიხოვეცმა ჩამოიყვანა თავის საოპერეტო დასის ნაწილი ქ-ნ და ბ-ნ ლასალის მოთავეობით და ოპერეტი „ნიტუშ“-ი წარმოადგინეს როიალის ხმაზედ. ხალხი ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

*** ახალციხის მაზრა. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მაჰმადიანებს ერთი რაღაც უსაფუძვლო ჩურჩული აუტყდათ. ზედამხედველებმა ასწერეს ამ რამდენისამე ხნის წინად, მთავრობის განკარგულებით, თუ რამდენი სასტუმრო მისადგები ოდები მოიპოვება სოფლებშიო. ეს აწერილობა ისე აუხსნიათ ვიღაც გაიძვერა მოლებს მაჰმადიანებთათვის, ვითომც ყოველს ოჯახობას ჯარის კაცები უნდა ჩაუყენონ და ამ ნაირის ტანჯვით უნდა გაიყვანონ „სალდათი“ მაჰმადიანებისაგანაო. ყოველს სოფელში სხედან საწყალი მაჰმადიანები და ლაპარაკი და რჩევა აქვთ ერთი მეორესთან, თუ რა გზით და რა საშუალებით მოვირჩინოთ თავი, თუ ეს ამბავი გამართლდაო. აღარც მუშაობაზე აქვთ გული და აღარც სარგებლობაზე, სულ სათათრეთში გადასახლებაზე-ღა ჰფიქრობენ. თუმცა-კი ნება არა აქვს ამისი, მაგრამ მთავრობასთან მოტყუილებით მიდიან და სთხოვენ ექვსის თვის ბაშფორთს, ნათესავების სანახავად მივდივართო. ამ საგნისთვის ჰყიდიან ყოველს საცხოვრებელს, მამულებს, ერთმანეთში შინაურის ქაღალდებით და ეთხოვებიან სამუდამოდ თავიანთს სამშობლოს. აგერ ამ ცოტა ხანში თვრამეტ მოსახლემდე გარდაესახლა სათათრეთში თავიანთის უგნურებით და ზემო მოხსენებულ მოლების მიზეზით. ეხლაც ბევრნი ემზადებიან. უკეთუ რომელნიც წინად ამ ცოტა ხინში წასულან ბაშფორთით, ისინი უკან არ მოითხოვეს, მაშინ-კი უფრო მეტნი წავალთო. ამისთანა ჭორებით ჰღუპავენ საცოდავს გაუგებელს ხალხსა: თუ მიწა ასი მანეთი ჰღირს, თითქმის მუქთად ჰყიდიან და ისე გარბიან სათათრეთში. სწორედ საცოდავობა არის ამათი უგუნურობა. რომ მიბრძანდეთ რომელსამე სოფელში, მაშინვე დაგეკითხებიან: მართლა ამა და ამ სოფელში სალდათი დაუყენესო? სულ ამისთანა ლაპარაკში ათამებენ მთელს დღეს მაჰმადიანები. ამ თვის ოც-და-სამში აწყურის ნაწილის ზედამხედველი ბრძანდებოდა იდუმალის საზოგადოებაში. რასაკვირველია, ბევრმა გლეხმა უამბო თავისთავის გაჭირვება. ბ-ნმა ზედამხედველმა ფიცხლავ მიაქცია ყურადღება და უბრძანა სასტიკად იდუმალის მამასახლისს, რომ ამისთანა ჭორების მოლაპარაკე მიპოვე და წარმომიდგინეო. მერე დაიბარა ხალხი და მისცა იმათ ძმური დარიგება და დაამშვიდა, ამისთანა ცუდ-უბრალო ჭორებს ნუ აჰყვებითო. კიდევ განმეორებით უბრძანა იდუმალის საზოგადოების მამასახლისს, უთუოდ მიპოვნე ჭორიკანა გაიძვერა მოლაო. მაგრამ ჩემის აზრით, არ გამოაცხადებენ, თუ ვინ არის. ამ წელში ბევრნი მოვიდნენ აქედგან გარდასახლებული მოლები და, მგონი, სულ იმათგან უნდა იყოს ზემოხსენებული ჭორები.

*** ხონი: კვირას, 28 ამ თვისას, დ. ხონში გავმართეთ ქართული წარმოდგენა, რომლიდგანაც შემოსავალი დანიშნული იყო წელს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულის პ. ჩხინკელის სასარგებლოდ. წარმოვადგინეთ „პეპო“ სუნდუკიანცისა. ყველა კმაყოფილი დარჩა წარმოდგენისა. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო. სულ შემოვიდა 130 მანეთი. დაიხარჯა ოც-და-ათ მანეთამდე. წმინდა შემოსავალი დარჩა ასი მანეთი, რომელიც სრულად გადაეცა პ. ჩხინკელს.

*** ახაშა (სენაკის მაზრა) ჩვენში

---

თილის ხმით) შემიბრალე, რა არის, ქეთევან!... შენს კილოს ცოტა გრძნობაც დაურთე... სწორედ განხორციელებული სიწყნარე და სიგულგრილე ხარ! მარტონი ვართ, ერთად, ამ მშვენიერს საღამოს, და შენ-კი!... ერთს წუთს არის მაინც წარმოიდგინე, ვითომ მართალი, ნამდვილი ამბავია... ოჰ, რა დედაკაცი ხარ! არა, არა, არც შენ მოგეპოვება ნაპერწკალი.

ქეთევანი. სამაგიეროდ, შენ მეტის-მეტად მოჰპრბებითა გაქვს.

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით არწმუნებს) წარმოიდგინე მხოლოდ, რომ... რომ იქვიანობ, შეურაცხყოფილი ხარ... მიწყრები, ცოლს რად ირთავო, მიყვარხარო... ვითომც მეც მიყვარხარ... ვინ იცის, იქნება ასეც იყოს.

ქეთევანი. (ხმა მაღლა გრძნობით იტყვის) მაშ თუ აგრეა, სხვას რაღად ირთავ?

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) ყოჩაღ! აი ეგ მომწონს. (ხმა მაღლა) სხვას რაღად ვირთავ? იმიტომ-რომ შენმა გულ-გრილობამ დამტანჯა და თავი მომაბეზრა. (ნელის ხმით) ხუმრობა გაშვებით-და, მართალს გეუბნები, იცოდე. (ხმა-მაღლა) დიახ, დავიღალე შენს სიყვარულში.

ქეთევანი. სიყვარულში! სიყვარულში! სწორედ მეცოდები მაგ შენის სიყვარულით. (ნელის ხმით) მეც არა ვხუმრობ, მართალს, სრულს ჭეშმარიტებას მოგახსენებ, იცოდე... (ხმა მაღლა) დიაღ, მეცოდები და მებრალები...

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) დაცინვა დაიწყო!... ჩინებულია, ჩინებული!... აი აგრე უნდა.

ქეთევანი. (გულწრფელად) არა, მართალი რომ ვსთქვათ, იქნება გგონია, ვითომ გყვარებოდე როდისმე, შე საცოდაო, შენა? ამიერიდგან ეგ აღარ გაბედო, გესმის!.

ნაკვერჩხ. გაწყრა!... საუცხოო!... განაგრძე, განაგრძე...

ქეთევანი. (თანდათან ცხარდება) ან გყვარებია-კი ვინმე?... ვინა, გვაცოდინეთ ერთი, თქვენს მოწყალებას!.. იქნება რომელიმე მოსამსახურე გოგო, ან მკერვალი გიყვარდა, როცა სტუდენტად იყავი, ან ჰვარტლაძის ქალი?

ნაკვერჩხ. (ნელისა და შეშინებულის ხმით) სუუ! მაგას ნუ ახსენებ... საჭირო არ არის!

ქეთევანი. ის ურცხვი, ისა, რომელთან შედარებასა და შეტოლებასაც არც ერთი პატიოსანი დედაკაცი არ იკადრებს.

ნაკვერჩხ. (ნელის ხმით) დაანებემეთქი მაგ ლაპარაკს თავი...

ქეთევანი. მაშ ვინა, აბა მითხარი? იქნება მარიკო იყოს, ეს უსუსური ბავშვი?..

ნაკვერჩხ. ფრთხილად.

ქეთევანი. დიაღ, ეს უსუსური და უბედური ბავშვი, რომელმაც ამ ბოლოს დროს რაღაც უცნაური ჟინი ალგიძრა, მეტად ახირებული და იქნება...

ნაკვერჩხ. ყველა-ყველა-და...

ქეთევანი. და იქნება მეტად უზნეო ჟინიც!

ნაკვერჩხ. (ბრაზი მოსდის) რა ამბავიაო, რა ვქნა?

ქეთევანი. მაგ ჟინს გინდა ცნობის-მოყვარეობა უწოდე, გინდა გულის გართობა, ახირება, რაც გინდა, მაგრამ სიყვარული-კი არ არის, არა და არა... აქ გულს-კი არა აქვს მონაწილეობა, ოცნებასა აქვს... სიყვარულის საქმეში „ინჩიც“ არ გაგეგება, ჩემო ვაჟბატონო.

ნაკვერჩხ. რატომაო, ბრძანეთ ერთი, თქვენს მოწყალებას?

ქეთევანი. იმიტომ-რომ თავ-ფქვილა ხარ, ფრთა-ფარფატა და კეთილშობილი ვნებათა ღელვა ერთს ალაჯზედაც ვერ მოგეკარება.

ნაკვერჩხ. (მოთმინებიდგან გამოდის) თავ-ფქვილა ხარო!.. ადრევე ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი! ეგ-კი მეტის-მეტია... ხომ კარგად ვიცი, რომ გულში მაგას არა ჰფიქრობ!

ქეთევანი. რატომაც არ ვიფიქრებ, როცა დარწმუნებული ვარ...

ნაკვერჩხ. საიდგან ბრძანდები მერე დარწმუნებული?

ქეთევანი. საიდგან რა, არ გიცნობ თუ?

ნაკვერჩხ. ყოველთვის მხიარული რომ ვარ, იმიტომ არა? მაშ რაკი ეგრეა, უნდა გითხრა, რომ, სამწუხაროდ, შენ თითონ არა გაგეგება-რა სიყვარულისა... სრულიად არაფერი!.. არ დაუჯერო იმ ხალხს, რომელთაც სულ ღიმილი უქრით სახეზედ, ვითომც ისინი მხიარულნი იყვნენ. ოჰ, ბევრს რასმე გეტყოდი ამის შესახებ, რომ...

ქეთევანი. იქნება ისიცა სთქვა, ამ სიყვარულის გამო ვიტანჯებოდიო?

ნაკვერჩხ. რასაკვირველია, ვიტანჯებოდი... თუმცა, მართალია, ნამტირალევი სახე არა მქონდა და ნაწყენი შეხედულობა... და, თუ გინდა მართალი შეიტყო, შენის მიზეზით ვიტანჯებოდი.

ქეთევანი. ჩემის მიზეზით?

ნაკვერჩხ. ჰო, სწორედ.

ქეთევანი. შენა?

ნაკვერჩხ. დიაღ, მე.

ქეთევანი. (ნელის ხმით) ჩვენა ვხუმრობთ, არა?

ნაკვერჩხ. (ნელის ხმითვე) მე სულაც არ მეხუმრება!.. დიდად მოხარულიცა ვარ, რომ ამის გაკვრით თქმის შემთხვევა მომეცა. (ხმა მაღლა) დიაღ, დიდად, დიდად ვიტანჯებოდი.

ქეთევანი. იქნება, მაგრამ ძნელად-კი შევამჩნევდა ვინმე ტანჯვას.

ნაკვერჩხ. მართალია, ჩემი ტანჯვა ძნელად შესამჩნევი იყო და ვამაყობდი კიდეც ამით. რა უნდა მექნა? მეჩივლ-მეწუწუნა, რომ სასტიკია-მეთქი... ოხვრა გამეხშირებინა... კვნესასა და მწუხარების ბაიათების მღერას მოვყოლოდი? აგეთები ხართ ქალები, აი! აქაო-და ცხვირიდგან აგიცილეო, ბერად უნდა შესულიყავიო. კარგი, მაგრამ, ჯერ ერთი, უნარი არა მაქვს მორჩილად ყოფნისა... დავიწყების მორევს ვეძებდი, ვცდილობდი მომეშორებინა როგორმე თავიდგან ეს ბორკილი...

ქეთევანი. მეტის-მეტად ხშირადაც ეძებდი დავიწყების მორევს!

ნაკვერჩხ. დიაღ, მეტად ხშირადაც, მართალია... შენივე ბრალია, ხელი რადა მკარი.

ქეთევანი. კაი მიზეზი გიპოვნია!

ნაკვერჩხ. მეორედაც ხომ ვერა ვცდიდი ბედს, ერთხელაც საკმარისი იყო...

ქეთევანი. რომ შენი ღრმა სიყვარული დაგენახვებინა განა?

ნაკვერჩხ. არა, რომ ჩემი ღირსება არ დამემცირებინა...

ქეთევანი. ეგ არ მესმის...

ნაკვერჩხ. შენ მეტად შეძლებული ხარ, ქეთევან, და...

ქეთევანი. მაშ ეგ იყო მიზეზი...

ნაკვერჩხ. (ლაპარაკში თანდათან გრძნობაზედ მოდის) თვით შენი ქალური გრძნობა უნდა მიმხვდარიყო და დაეფასებინა ჩემი სიყვარული, ჩემი ჩუმი ტანჯვა და წამება. შენ-კი იმასა ჰფიქრობდი: სად შეუძლიან ამას ღრმა სიყვარულიო... მეტად მხიარული, მეტად ქარიანიაო... ის-კი არ იფიქრე, რომ როგორ არ უნდა მყვარებოდი? იმას გარდა, რომ მარტო შენა ხარ ერთად-ერთი ჭეშმარიტი დედაკაცი, რომელიც კარგად ვიცანი, შენვე ხარ ისა, ვინც ყველაზედ პირველად დავინახე! 20 წლისა ვიყავი, სტუდენტი. აბა იფიქრე, რა სახმილით უნდა აღგზნებულიყო ჭაბუკის უბედური გული. დიაღ, მიყვარდი, მაგრამ ვერ მეთქვა-კი შენთვის, ვერ გაგტეხოდი. ვარსკვლავების შესახებ უნდა დაგლაპარაკებოდი, ლურჯის ცის კამარა და ფრინველები მეხსენებინა, ლექსები მომეწერა... ამის მაგიერად-კი, უბრალოდ ხელი გამოგიწოდე... კოპიტ-კოპიტ სიტყვების დაუმტვრევლად. მით უფრო ცუდი ჩემთვისაცა და შენთვისაც!.. დიაღ, შენთვისაც. ოჰ, ქალებო, ქალებო! თქვენ ყოველთვის ადვილად მოგხიბლავთ ენა-ტარტარანი, გრძნობის შესახებ ტკბილად მოლიკლიკე-მოტიკტიკენი, პოეტები და ულვაშებ-გაწკეპილი და კუდ-გაბზეკილი ვაჟბატონები.

ქეთევანი. (ისევ ცხარდება) ერთი გამაგებინე, როგორ უნდა ვიცნოთ, ვის ვუყვარვართ და ვის არა? რა ნი-

ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა, არავითარის ავ-კაცობისა და ძარცვა-გლეჯის ამბავი არ ისმის. ამ საქმეს მეტად გულ-მოდგინედ თვალს ადევნებს ჩვენის პოლიციის ბოქაული. სამაგიეროდ ამასვე ვერ ვიტყვით აქაურს სისუფთავეზედ. დუქნების წინ ქუჩებში აქ-იქ წუმპო-ტლაპოებს ხშირად შეხვდება კაცი. მეეტლები ამ ადგილებში ცხენებს აბანავებენ. ამას გარდა დუქნებიდამ სიბინძირესაცა ქეთ-კენ ასხამენ, ასე რომ ყოველივე ეს დიდს უსუფთაოს აჩენს ჩვენს დაბაში; ამ სიცხე-პაპანაქებიანს დღებში დაგუბებული წყალი მყრალდება და არე-მარეს ჰხაშმავს.

მერე ეს ისეთი ადგილია ჩვენს დაბაში, სადაც ბაზრობა იციან და ხალხიც ბლომად ტრიალებს.

იმედი გვექნება, რომ ამ გარემოებასაც საჭირო ყურადღებას მიაქცევს ჩვენი ბოქაული.

*** მარტყოფსა, ნორიოსა და დიდსა და პატარა ლილოში მეტად კარგს მოსავალს ამბობენ; ყანები სრულიად აუღიათ თითქმის და ყველგან გაცხარებული ლეწვაა; ამას ამინდიც ხელს უწყობს. ყურძენი და ხილიც, თუმცა კარგი გამოდგა, მაგრამ ისე უხვად არ მოსულა, როგორც წინა წელში. ამის მიზეზადაო, ამბობს „ნოვ. ობოზრ.“-ის კორესპონდენტი—წარსულის წლის სეტყვას ასახელებენ, რომელმაც მეტად დააზიანა მცენარეებიო.

## არჩილური, შვიდ-თავი

(სამღრთო ამიცანები)

—

ნარკვევი, ნაჭირნახული ამხელს შრომასა გზიანსა,
აღზრდა-სწავლების მეშველი, სხლავს ვაზსა ბალახ-ტყიანსა,
სვრელსა მიმარგლის მომჭირნედ ავსამარგელსა, ქვიანსა,
იკრებს იარაღს, მასალას, წიგნებს სწერს განგებიანსა;
ძნელს შესდგომია საქმესა, მაგრამ დიდს, მომავლიანსა,
ესწრაფვის დღესა ცოდნისას, ნათელსა, ტკბილსა, მზიანსა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დაბა ნაგომარი** 29 ივლისს. მთელს დასავლეთს საქართველოში ნაგომრის ბაზრობა სიდიდითა და ხანგრძლივობით პირველია, მაგრამ მიუხედავად ამისა „საქართველოს კალენდრის“ შემადგენელს ბ-ნს გუნიას თავისს კალენდარში ამ ბაზრობისათვის უკანასკნელი ადგილიც არ ურგუნებია მაშინ, როდესაც უფრო წვრიმალნი ბაზრობა და თითქმის შეუმჩნეველი დაწვრილებით ჩამოთვლილი აქვს. საკვირველია ეს ამბავი, ხოლო სამწუხარო-კი არ არის, რადგანაც ბაზრობას ამითი არაფერი არ აკლდება. მართალია, ძველებური ფერი და იერი დაუკარგავს და შესამჩნევად დაწვრიმალნებულ-დახურდავებულია, მაგრამ დროთა ვითარება ჩვენში რას სტოვებს სხვას შეუცვლელად, რომ მაინცა და მაინც ბაზრობა დაეტოვებია. ასე თუ ისე ეს ბაზრობა წელსაც გაიმართა და ჩვეულებრივ 15 ივლისიდამ ორს კვირას გასტანა.

საყურადღებოა, მოვიხსენიოთ, რომ წელს ეს იარმუკა და აქვე დაარსებული ეგრედ წოდებული სასნეულო სახლი ბ-ნმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ინახულა და თავისის ყურადღების ღირსი გახდა. 19 ივლისს ოზურგეთიდგან ამობრძანდა ნაგომარში, სადაც ახლო-მახლო საზოგადოებათა თავად-აზნაურნი და მამასახლისები დაუხვდნენ. დალაგებითა და დაწვრილებით გამოიკითხა ბაზრობის ავ-კარგი, ვაჭრობის წარმოების წეს-რიგი და სოფლების ყოფა-მდგომარეობა. შემდეგ შესაფერი დარიგება მისცა ყველა იქ მყოფს და წაბრძანდა გურიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გუგუნავასას, სადაც მიწვეული იყო სადილად. აქ, გუგუნავას, ვეებერთელა ეზო თითქმის ხალხით გაიჭედა. ბ-ნმა გუბერნატორმა ამ ამბავს ყურადღება მიაქცია და იკითხა, ამ ხალხს რად მოუყრია თავიო. აღმოჩნდა, რომ ამათ უნდა ეთხოვნათ, ნაგომრის სასოფლო სამკურნალო, რომელიც ჩოხატაურში გადააქვთ, იქვე დაანარჩუნეთო. გუბერნატორმა ყურადღებით მოისმინა ეს თხოვნა და სთქვა, რომ, როგორც ვხედავ, თქვენი თხოვნა საფუძვლიანია და ღირსი შეწყნარებისა, მაგრამ რა უნდა ვუშველოთ საქმეს, როცა ჩოხატაურში სახლი უკვე აშენებულია თითქმის და ეს საქმე საბოლოოდ გადაწყვეტილია სამკურნალო განყოფილების მიეროო. ხალხმა უპასუხა, რომ ჩვენ აქამდის არაფერი ვიცოდით, გადაჰქონდათ თუ არა აქედამ სამკურნალო, და როცა, გავიგეთ, თხოვნა გააჩელით და ჩვენი გაჭირვებაც აღვნუსხეთო. ყოველსშემთხვევაში. ვეცდები, შევასრულო თქვენი თხოვნა, თუ რაიმე საიმისო დაბრკოლება არ აღმოჩნდებაო, ბრძანა ბოლოს გუბერნატორმა. მთხოვნელნი ამ დაპირებამ დააკმაყოფილა და ამით საქმე გათავდა. თუმცა-კი აქა-იქ ლაპარაკობენ, რომ ამ საგანზე გუბერნატორმაც რომ უარი გვითხრას, უმაღლესს ადგილამდე მივაღწევინებთ ჩვენის გაჭირვების ამბავსაო.

იმ დღეს საღამოს გუბერნატორი ოზურგეთს გაემგზავრა და იქიდგან ქუთაისს წაბრძანდა.

აბრეშუმის მაზანდა ამ ბაზრობაზე დაეცა და ამის მიზეზი ის იყო, რომ მეაბრეშუმეებმა პირი შეჰკრეს, რვა მანეთზე ზემოდ ნუ ვიყიდით ოყა აბრეშუმს და რა ილაჯი აქვთ, რომ ამ ფასს არ დასჯერდნენო. ასეთმა ხრიკმა თავისი გაიტანა, მაგრამ მომავალში, იმედია, რომ ვინმე რიგიანი ვაჭარი გვესტუმრება. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ აბრეშუმის წარმოება გურიაში დღით-დღე წარმატებაში შედის. მაგალითად, წელს აქ 130 ფუთამდე აბრეშუმი გაიყიდა. ვგონებთ, რომ ამდენის აბრეშუმისათვის სასხომინდლოდ რიგიანი ვაჭარი მოვა და რიგიანადაც ივაჭრებს, თორემ თუ აქაურს ჩარჩებსა და კულაშელს ებრაელებს ჩაუვარდათ ეს საქმე ხელში, მეაბრეშუმეობა აღორძინების ნაცვლად დაეცემა და ამით ბაზრობის აღებ-მიცემობასაც შესამჩნევად დააქვეითებს.

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ გუბერნატორს ძლიერ მოეწონა აქაურ მანდილოსანთა ნაქსოვი დარაიები და შალ-აბრეშუმები. აქო უნარი და გავჯილობა ჩვენის მანდილოსნებისა და რამდენიმე ცალი ასეთის ნაქსოვისა წაიღო კიდეც თან. მაგრამ რა უნდა გააკეთოს ასეთმა ქებამა და მოწონებამ, როცა ამ გვარი ხელ-საქმე ჩვენში თანდათან ქვეითდება. დედები რომ დარაიებს ჰყიდდნენ, იმათი ქალები აღებულის ფულით ფერ-უმარილსა და სხვა-და-სხვა ჩიხომახოებს ყიდულობდნენ და სრულიადაც არა თაკილობენ ასეთს საქციელს, რომ ფულს საკუთრად ისინი ჰხარჯავენ, როცა საქმესა და შრომაში თითიც არ გაუნძრევიათ.

ამ რიგად, თუ ჩვენებურ ქალთა ქარაფშუტობამ წრე და საზღვარი არ იპოვა, დარაიებისა და სხვა ხელთსაქმის ხსენება სრულიად გაქრება ჩვენში.

მშვიდობიანად დაბოლოვდებოდა ბაზრობა, რომ ერთი უბედურება არ მომხდარიყო. ბანაობის დროს დაირჩო სუფსაში ერთი თერთმეტის წლის ყმაწვილი. როცა წყალიდან გამოიტანეს, მაშინვე სამკურნალოსკენ გააქანეს. იქ ფერშლებმა გასინჯეს და რაკი სიცოცხლის ნიშნები დაატყეს, დიდის მუყაითობითა და თავ-გამოდებით შეუდგნენ საქმეს, მაგრამ, საუბედუროდ, განჯინა, რომელშიაც სხვა-და-სხვა წამალი და იარაღი ინახებოდა, დაკეტილი აღმოჩნდა. გასაღები უფროსს ფერშალს წაეღო სახლში. რაღა უნდა ექნათ, როცა ყოველი წამი ძვირფასად ღირდა; გამოამტვრიეს განჯინის მინა, გამოიღეს წამლები, იღონეს ყოველივე ღონე, მაგრამ ამაოდ. უბედურება მაინც უბედურებით დასრულდა.

კალამი

## უცხოეთი

**ინგლისი.** უკანასკნელის სიტყვის წარმოთქმის დროს სხვათა შორის აი რა მოიხსენია მარკიზ სალისბიურიმ:

შნით იცნობება სიყვარული? იქნება ის იყოს ნიშანი, რომ ჭეშმარიტად მოსიყვარულე ადამიანი არა ტიკტიკებს, არა პოეტობს და ულვაშებს არ იბზეკავს?..

ნაკვერჩხ. დამცინე, დამცინე...

ქეთევანი. ან იქნება ის იყოს ნიშანი, რომ შეყვარებული მხიარულია, ჯან-მრთელი, სხვა ქალებთან დროებას ატარებს და თავისის ცელქობის ამბავს ჩვენც გვიზიარებს ხოლმე... სხვას ირთავს?

ნაკვერჩხ. ეგ კიდევ არაფერს ამტკიცებს.

ქეთევანი. მაშ აბა, როგორ უნდა გავარჩიოთ, როგორ? შენ სწორედ მოთმინებიდგან გამომიყვან! ხომ უნდა გავარჩიოთ როგორმე. რა და ვინ არის თავმდები, რომ ისინი—იმას ვიღა იტყვის, ვნებათა ღელვით სავსენი არიანო,—რომ ისინი პატიოსანნი მაინც არიან... დიაღ, რა და ვინ არის თავმდები?..

ნაკვერჩხ. თავდებიო! როგორ მოგწონთ, ჰა? მოდი და ნუ იტყვის ადამიანი, რომ განხორციელებული გონიერებააო.

ქეთევანი. რასაკვირველია, ასეა... თუ ყოველს უბრალო საქმეში გვჭირდება თავდები, ცოლ-ქმრობა და სიყვარული უფრო ღირსი არ არის, რომ ხელ-მაგრად მოვეჭიდნეთ?! არაო, ჩვენ არას ვიტყვით და თქვენ-კი გვერწმუნეთო; ჩვენ არ ვიტირებთ და თქვენ შეგვიბრალეთ, ცრემლები მოგვწმინდეთო. ესენი ზურგს გვაქცევენ და ჩვენ-კი კალთებზედ უნდა ჩამოვეკიდნეთ. კარგია, კმარა, ნურასოდეს ნუ მეტყვი, ვითომ გყვარებოდეს ვინმე... ვითომ მორცხვი, თავ-დაჭერილი და თავ-მომწონე იყავი, ჰა! მორცხვი-კი არა, არავინ გიყვარდა.

ნაკვერჩხ. მოითმინე...

ქეთევანი. თავ-დაჭერილი-კი არა, არავინ გიყვარდა! თავ-მომწონე-კი არა, არავინ გიყვარდა...

ნაკვერჩხ. მეც მათქმევინე რამე...

ქეთევანი. ეხლა-კი დავიწყების მორევს დაეძებ, სხვას ირთავ... აღარ გიყვარს განა?.. არა, არასოდეს გყვარებია, არასოდეს... არა, არა და არა.

ნაკვერჩხ. (აღშფოთდება) მე არა მყვარებია!

ქეთევანი. (გაანჩხლებით) არა-მეთქი, არა და არა! ვერ დამაჯერებ.

ნაკვერჩხ. (აღარ იცის რა ჰქმნას) არაო!.. თუ აგრეა-და, უნდა გითხრა, რომ დღევანდლამდისაც მიყვარხარ...

ქეთევანი. შენა?!.

ნაკვერჩხ. დიაღ, მე, ეხლაც მიყვარხარ და ყოველთვისაც მიყვარდი... არასოდეს არავინ არა მყვარებია, შენის მეტი, თუ მართალი გინდა შეიყო...

ქეთევანი. მერე ჰკადნიერდები და...

ნაკვერჩხ. ვკადნიერდები, რა არის?

ქეთევანი. რაღა კაცი ხარ მერე მაგას შემდეგ?

ნაკვერჩხ. და არამც თუ მარტო მიყვარდი, გაკერპებდი... გაღმერთებდი! აკი გეუბნები, შენ სიყვარულისა არა გაგეგება-რა, სრულიად არაფერი. ჯერ შენ კაცებს არ იცნობ. მათ შორის ერთიც არ მოიძებნება ისეთი, დამიჯერე, ერთიც-კი, რაც უნდა ურწმუნო იყოს, თავ-ქარიანი და გარეგნად უდარდელ-უზრუნველი, რომ გულის გულში თავისი კერპი არა ჰქონდეს ჩამალულ-ჩამარხული... ქალი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, სახე ქალისა, სულ ერთია, მშობელ დედისა იქნება, დისა, თუ ამხანაგისა... ხშირად სულ უცნობისაც-კი არის... ეს ქალი ტურფა არსებაა, ოცნების მიერ შექმნილი და სულდგმული. შეიძლება ქვეყნად იმისთანის მოძებნა შეუძლებელიც იყოს, მაგრამ მაინც-კი ის არის ერთად-ერთი არსება, რომელსაც ყმაწვილი კაცი თაყვანსა სცემს, ემონება, ეტრფიალება და ზედ დაჰხარის. ეს არსება ამდენად სჯობია სხვა ქალებს, რომ იგი ვერავითარს ადამიანურს ცოდვას ვერ ჩაიდენს, იმას ვერავინ განაშორებს, ვერავინ ჩამოაგდებს იმ კვარცხლბეკიდგან, რომელზედაც აიყვანა ყმაწვილის კაცის გულმა, სადაც იგი ყოველთვის წმიდაა, ყოველთვის ჩირქ-მიუცხობელი, უმანკო და უბიწო... აი ასეთი კერპი იყავი შენ ჩემი!

ქეთევანი (გაოცებულია) მიხაკო!...

ნაკვერჩხ. (ცხარდება, მაგრამ სიცხარე თანდათან სინაზედ ეცვლება) დიაღ, შენა სცოცხლობ ამ ჩემს გულში და, სამწუხაროდ, აქვე იქნები საუკუნოდ. ოო, მე არ გაგიბამ, რომ მოკვდები, შუბლში ცხელს ტყვიას ვიკრავ-მეთქი... ამისთანა სიტყვებს თავ-ქარიანები ხომ არ ამბობენ, პოეტები ამბობენ! მე პოეტი არა ვარ, თავ-ქარიანი გახლავართ... უბრალო მომაკვდავი ვარ, პროზით სავსე არსება... ვიცოცხლებ და ქვეყნის ტრიალს ხან აქეთ მოვექცევი და ხან იქით, ცოლს შევირთავ, შვილებიც მეყოლება... დიაღ, ასე იქნება, მხოლოდ... მხოლოდ... (ხმა აუკანკალდება) ეჰ, ქეთევან, დიდად სასტიკი და შეუბრალებელი ხარ!

ქეთევანი. (გული მოულბება და ამოუჯდება) არ ვიცი, ღმერთმანი... ჩვენ ვხუმრობთ, არა, მიხაკო!

ნაკვერჩხ. ვხუმრობთო! (ხელს დაუჭერს და სახესთან მიიტანს) შეხედე ამ ცრემლებს...

ქეთევანი. მიხაკო!

ნაკვერჩხ. ძვირფასო, საყვარელო ქეთევან!

### სცენა X

იგინივე და მარიკო

მარიკო. (ნელის ხმით) შეიძლება შემოვიდე?

ქეთევანი. მარიკო!

ნაკვერჩხ. თქვენა ხართ, თქვენა!

მარიკო. ჰო, მე ვარ, მე. (იცინის) ხა-ხა-ხა! რა ახირებული სახე გაქვთ!

ქეთევანი. შენ ხომ... (ენა დაებმება)

მარიკო. შენცა, მამიდავ?.. რა დაგმართვიათ?.. პასუხის წასაღებად ვიყავი.

ქეთევანი. პასუხისაო?

მარიკო. ჰო, პასუხისა, მამასახლისს რომ დავპირდი... მამასახლისი გამგებლისას მელოდდა...

ქეთევანი. ჰო, მესმის! მერე რა უპასუხე?

ნაკვერჩხ. რა უპასუხეთ?

მარიკო. (ნაკვერჩხლაძეს უყურებს და დაბალის ხმით ამბობს) როგორ შეგეშინდათ! ხა-ხა-ხა!..

ნაკვერჩხ. სთქვით რაღა, რა ქნა...

მარიკო. ავი და ბოროტი ვარ განა? დაწყნარდით! (ხმა მაღლა) კეთილ ვინებე!

ქეთევანი. დათანხმდი?

მარიკო. დიაღ, მამასახლისის მეუღლე გახლავართ! ქ-ნი კაჭკაჭაძე! მართალს ამბობდი, მამიდა, ძალიან კეთილი კაცი ყოფილა. როცა ვუთხარი, თანახმა ვარ-მეთქი, სიხარულისაგან ისე აღელვდა, რომ ხელები გულზედ მიიწყო და დაიძახა: „ბ-ნო მარიამ! ორი დღეა ბედნიერი ჩემს სიცოცხლეში, დღევანდელი დღე და ის დღე, როცა მამასახლისობა მივიღეო“.

ნაკვერჩხ. მაშ ირთავთ რაღა?

მარიკო. ირთავთო? მაშ აქამდის ვერ მიხვდით! (ხარხარებს) საწყალი მიხეილი! სულ ერთიანად გამოშტერებულა... ანუგეშე, მამიდავ... შენც „კეთილ ინებე“.

ქეთევანი. ჰაი, შე ეშმაკო, ყურს გვიგდებდი განა?...

მარიკო. პირველში ჰო, ცოტას ხანს. მაგრამ ნუ თუ გგონიათ, ყური უნდა მეგდო, რომ გამეგონა. (ნაკვერჩხლაძეს ხელს ჰკრავს ქეთევანისაკენ) მიდით რაღა, მიდით!

ქეთევანი. მე ჯერ კიდევ გონებაზედ ვერ მოვსულვარ, მიხაკო...

ნაკვერჩხ. აი, ეგ არის ნაპერწკალი, ჩემო კარგო, ნაპერწკალია...

მარიკო. (ქეთევანს) ბედნიერი ხარ, მამიდა?

ქეთევანი. ჰო, ჩემო კეთილო პაწაწავ! (ჰკოცნის) მაგრამ რა დაგმართვია? ფერი წაგსვლია, ცრემლებიც-კი გეტყობა...

მარიკო. მე?.. არა, იმდენი ვიხარხარე, რომ ცრემლები წამომსკდა.

ქეთევანი. მიხაკო მართალს ამბობს... ნაპერწკალი არ მოგეპოვება, არა!

მარიკო. (ნაზად შესცქერის) ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო მამიდა!..

(ფარდა)

ორ-ანი

„აღმოსავლეთის საქმე ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, მაგრამ ორი ერი იზრდება და მათი თავისუფალი ზრდა-წარმატება გვაიმედოვნებს, რომ ამ ერთა კულტურის წყალობით ისე დაბოლოვდება აღმოსავლეთის საქმე, როგორც სასურველია. ეგვიპტემა და ბოლგარიამ საოცარი წარმატება დაიტყეს. ეგვიპტის წარმატება იმის ხელმწიფის საქმეა, რომელმაც ხერხიანად მოიხმარა სჯულისა და გვარ-ტომობის მიერ მინიჭებული უფლება. რაც შეეხება ბოლგარიას, იქ თვით ერის ქცევაა ფრიად საგულისხმიერო და საკვირველი, თუმცა ისიც-კი უნდა ვსთქვათ, რომ მთავარნიც ამ ერისა დიდს შეგნებულობას იჩენდნენ და პირ-ნათლად ასრულებდნენ თავისს მოვალეობას. ბოლგარიას ეროვნული ყრმობა არ უნახავს. იგი პირდაპირ დაბრძენებული და გამოცდილი გამოვიდა ქვეყანაში, თითქოს დიდისა და ხანგრძლივის ისტორიითა ჰქონდეს შეძენილი ყველაფერიო. აი სწორედ ამიტომ ბოლგარელნი და მათ მიერ ამორჩეულნი მართველნი მიგვაჩნია იმის თავდებად, რომ აღმოსავლეთის საქმე უკეთესად დაბოლოვდება, ე. ი. დაბოლოვდება იმათ იმედისამებრ, ვინც ფასსა სდებს კაცობრიობის ბედნიერებას, მისს ცივილიზაციასა და პროგრესსა.

**ოსმალეთი.** „Kreuzzeitung“-ი იხსენიებს, სულთანმა შესახებ ებრაელების ოსმალეთში გადასახლებისა სთქვა, მე მსურს, რომ აქ გადმოსახლებულს ებრაელებს იმ გვარივე უფლება მიენიჭოთ, როგორიც სხვა ჩემს ქვეშევრდომებსა აქვთო. მე სრულიად წინააღმდეგი არა ვარ, რომ უცხო სახელმწიფოებიდგან ებრაელნი მოვიდნენ ჩემს სახელმწიფოს და იმ ადგილებში დაესახლნენ, სადაც-კი მათი მისვლა ადგილობრივ მკვიდრთ არ შეავიწროებს, არ შეაწუხებს და არც თვით სახელმწიფოსთვის იქნება საზარალო მათი იქ დაბინავებაო. ამ სახით კორფუსა და ეპირიდგან გადასახლებულ ებრაელთ ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა სალონიკსა და სმირნაში გამგზავრება დასასახლებლად, ხოლო კრიტსა და ტრიპოლისში-კი აღუკრძალეს წასვლა, რადგან კრიტში ებრაელები ხალხსა აღელვებენ და ტრიპოლისში-კი მათ მფარველობას გაუწევს იტალია და საფრანგეთიო. ამ გვარადვე უცქერის ოსმალეთის მთავრობა ებრაელების გადასახლებას სირიასა და პალესტინაში. იქ გადასახლებული ებრაელები სცდილობენ ინგლისის მფარველობის მოპოვებას და ამ გარემოებას-კი შეუძლიან უთანხმოება გამოიწვიოს რუსეთისა და ადგილობრივ მცხოვრებ მართლ-მადიდებელთაო. ამ გვარი თავისი მოსაზრებანი პორტამ უკვე აუწყა ინგლისის დესპანს უაიტს, რომელიც სჩიოდა, ებრაელები ასე მრავლად რად ესახლებიან პალესტინაშიო. საზოგადოდ-კი ოსმალეთის მთავრობა ძლიერ მცირედად თანაუგრძნობს ებრაელთა სურვილს პალესტინასა და სირიაში გადასახლებისას.

## დეპეშა

1 აგვისტო

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი გუშინ პეტერგოფიდგან კრასნოე სელოში გაბრძანდნენ.

გუშინ დიდი მთავარი მიხეილი ნიკოლოზის ძე საზღვარ გარედ გაემგზავრა.

დასახმარებლად დაკლებულ ხალხისა, რომ ადვილად შეიძლოს შავის პურის სხვა ხარისხის ჭინახულისა და განსაკუთრებით კართოფილისა და სიმინდზე გადაცვლა, გარდასწყვიტეს ამ ჭინახულის გადასატან-გადმოსატანი ფასი შეამცირონ ხოლო არა ნაკლებ $^1/_{100}$ კ. ფუთიდამ ერთს ვერსზე. ეს ტარიფი შევა ძალაში 31 ივლისს. ტარიფის მოსპობის დრო 8 თვით ადრე გამოცხადდება.

**კილი.** გერმანიის იმპერატორი უკეთესად ხდება; ახალმა არტაშმა კარგად უშველა. არა თუ დადგომა შეუძლიან ნატკენს ფეხზე, არამედ კაიუტაშიც-კი ჩავა ხოლმე სხვის დაუხმარებლად.

**იშლი.** დღეს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე აქ მობრძანდა სასახლის მატარებლით მეფე სერბიისა, რომელსაც მიეგება სადგურიდგან მოსული იმპერატორი გენერალ-ადიუტანტი გრაფ პაარითურთ. მიგებება გულითადი იყო. იმპერატორმა გააცილა მეფე „Hotel Elisabeth“-ამდე, სადაც მეფეს მიეგებნენ ერც-ჰერცოგი ფრანც სალვატორი და პრინცი ლეოპოლდი ბავარიელი. შემდეგ მეფესთან დარბაზად იყვნენ ობერ-გოფმეისტერი თავადი გოგენლოე და გრაფი კალნოკი. საღამოს 6 საათზე სადილი გაიმართა იმპერატორის ბაღში. აქ მეფეს მიეგება ერც-ჰერცოგინა ბავარიელი. სადილს შემდეგ იმპერატორი, მეფე და წევრნი სამეფო გვარეულობისა თეატრში წავიდნენ.

### პეტერბურგის ბირჟა, 30 ივლისი

| | მყიდველისა. მან. | კ. | გამყიდველისა. მან. | კ. | გაყიდულისა. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, | 55 | 7, | 60 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | | $151^3/_4$ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 09 | 1, | 12 | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 240 | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | $229^1/_2$ | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 213 | | — | ,, | — | ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით (ნოვოროსიისკსა და ქერჩში შეივლის).

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმამდე მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მაისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

ყორნისის ეკკლესიის აღმაშენებელი კომიტეტი უცხადებს **იჯარით აღების** მსურველთ, რომ ექვს აგვისტოს დაბა **ცხინვალს** სასოფლო სასამართლოში მოხდება ვაჭრობა ზემოხსენებულის ყორნისის ეკკლესიის აშენების იჯარით გაცემისა. (3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგურისაგან . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| ქართველ ფილოსოფოს ეზოპისა . . . . | „ | 40 |

## იბეჭდება და გამოვა სექტემბრის დამლევში

ვალერიან გუნიას-მიერ

შედგენილი და გამოცემული

1892 წლისათვის

**საქართველოს კალენდარი** (დასურათებული მრავალის სურათებით) ფასი ორი აბაზი

**უბის წიგნი 1892 წლისათვის** (მშვენიერის ყდით და ყარანდაშით) ფასი ორი აბაზი

**სახალხო კალენდარი** (ყოველნაირის საჭირო ცნობებით მდაბიო ხალხისათვის) ფასი ორი შაური

„საქართველოს კალენდარში“ ღებულობენ დასაბეჭდად ყოველ გვარს განცხადებას. ფასი წიგნის ბოლოში-გვერდი—5 მ. ნახევარ გვერდი—3 მ., მეოთხედი გვერდი—2 მან. წიგნის დასაწყისში გვერდი—12 მ. ნახევარ გვერდი 7 მან.

ვინც კალენდრისათვის მასალის გამოგზავნას ინებებს, შეუძლიან, მიჰმართოს ვალერიან გუნიას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, მანსვეტოვის სტამბას, ანუ წერა-კითხვის წიგნის მაღაზიას.

(5—0—1)

### წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1891 წ. 1-ლ **სექტემბრიდამ 5-მდე** (მსურველთ უფრო ადრეც შეუძლიათ შემოიტანონ თხოვნა).

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს **ილია** ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელს მოსამართლეს) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თავ. ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს სოფ. წინამძღვარიანთ კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდამ მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდამ და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველს განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება, მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ, სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანეთი (ფულის მაგიერ შეუძლიათ შემოიტანონ ხორაგეული). შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაფილი ჩაი, ანუ რძე პური, შუადღის საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს, მიაბაროს ყმაწვილი სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარ წლის შესანახი ფული 42 მანეთი პირველს სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანეთი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზე ფულს არ შეიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაეგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, მანამ შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლაში შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნი ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანეთი კრაოტის საყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და ერთი ხელი სკოლისთვის დაწესებული ტანისამოსი: ერთი სახამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Станція Мцхеть, смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельско-хозяйственной школы кн. Ер. К. Накашидзе.

(5—0—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 1-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე